განკარგულება:**გ-49. 49252695**
თარიღი:**26/09/2025**

სს „სილქნეტი“-სათვის საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად (საჰაერო ტრასით კაბელის გატარება) 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, ქონების გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 23 სექტემბრის №48-4825266150 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას სს „სილქნეტი“-სათვის საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად (საჰაერო ტრასით კაბელის გატარება) 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, დანართი N1-ში მითითებული ქონების გადაცემის შესახებ (თან ერთვის).
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს სს „სილქნეტი“-სათვის საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად (საჰაერო ტრასით კაბელის გატარება) 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, დანართი N1-ში მითითებული ქონების გადაცემის შესახებ (თან ერთვის)

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი
1	2	3	4
1	ქალაქი წყალტუბო, რუსთაველისა და ხელოვნების ქუჩა	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 6.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.643
2	ქალაქი წყალტუბო, წერეთლის ქუჩა	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 2.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.644